რძისა და რძის პროდუქტების სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო სტანდარტით 9225-84. ამ პროდუქტებს იკვლევენ მიკრობთა საერთო რაოდენობაზე, ნჩჰბ-ზე. პათოგენური მიკროორგანიზმიებიდან გამოკვლევა წარმოებს სადმონელებზე, ენტეროტოქსიგენურ სტაფილოკოკებზე.

ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში 2000-2004 წლებში ჩატარებული გამოკვლევების მონაცემები მოტანილია ცხრილში.

ცხრილი 1

ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მდგომარეობა ქობულისში (2000-2004 წწ.)

პროდუქტის დასახელება	2000 წ.		2001 წ.		2002 წ.		2003 წ.		2004 წ.	
	შპრ	დ	შპრ	დ	შპრ	დ	შპრ	დ	შპრ	დ
ხორცი და ხორცის პროდუქტები, მათ შორის კონსერვები	25	10	35	15	25	11	88	21	107	35
ხორცის ფარში		1		3				3		5
სოსისი		2		3		4		5		10
მოხარშული ძეხვი		3		2		5		2		5
ხბოს ხორცი										2
ხინკალი და პელმენი		5		5		2		8		10
ფრინველის ხორცი				2				3		3
რძე და რძის პროდუქტები	45	27	34	18	50	18	65	18	70	31
ხაჭო		5		1		2		2		6
მაწონი		9		7		1		1		1
რძე		4				1				15
არაჟანი		7		5		3		2		2
ნაყინი		2		4		9		12		7
ნაღების კარაქი				1		2		1		

მასალა და მეთოდება

გამოსაკვლევი მასალა – ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები. მათი გამოკვლევა ტარდებოდა ნჩჰბ-ზე 1 გ პროდუქტში, სადმონელებზე – 25 გ პროდუქტში, ხოლო ოქროსფერ სტაფილოკოკზე – 1 გ პროდუქტში. მიკროორგანიზმთა გამოსაყოფად გამოყენებული იქნა ენდოს, პლოსკირევის, კესლერის და სხვ. საკვები ნიადაგები [11]. ყველა პროდუქტების გამოკვლევა წარმოებდა შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით [4-10].

შედეგები და მათი განხილვა

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოსაკვლევედ შემოსული პროდუქტების რაოდენობა არც ისე დიდი იყო. ეს აიხსნება იმით, რომ 2001 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “სამეწარმეო საქმიანობის შესახებ”. ამ კანონმა ქვეყნის მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად შუზღულა სანიტარიული სამსახურის უფლებები და კვების ობიექტებში შესვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე [1-3]. ამან გამოიწვია სანიტარიული სამსახურის საქმიანობის შეზღუდვა, მნიშვნელოვნად გაუარესდა სანიტარიული ზედამხედველობის ეფექტურობა და ხარისხი. საკმაოდ მაღალია სანიტარიული დარღვევები, ინდიკატორული მიკროორგანიზმებით დაბინძურებული სინჯების რაოდენობა.

გამოკვლეული პროდუქტებიდან გამოყოფილი იქნა მხოლოდ ნაწლავის ჩხირი, E.coli; პათოგენური ბაქტერიები არ ამოითესა.

ზემოთ აღწერილი მდგომარეობის მიზეზია ის, რომ ადგილი ჰქონდა საწარმოების სანიტარიულ-ტექნოლოგიური პირობებისა და მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენის წესების დარღვევას.

ლიტერატურა

1. “სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ” 2001 წლის 16 აგვისტოს №301/6 (“საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №91 27.08.2001).
2. “განსაკუთრებით მაღაფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ” 2001 წლის 16 აგვისტოს 303/6 (“საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №91 27.08.2001).
3. “კვების მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №304/6 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე” 2004 წლის 15 იანვრის №11/6 (“საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №11 2004 მუხლი 109).
4. ГОСТ 21237-75 Мясо. Методы бактериологического анализа.
5. ГОСТ 4288-76 Изделия кулинарные и полуфабрикаты из рубленного мяса. Метод микробиологического анализа.
6. ГОСТ 9958-81 Изделия колбасные и продукты из мяса. Методы микробиологического анализа.
7. ГОСТ 9225-84 Молоко и молочные продукты. Методы микробиологического анализа.
8. ГОСТ P50480-93. Продукты пищевые. Метод выявления бактерий рода salmonella.
9. ГОСТ 10444.2-94 Продукты пищевые. методы определения Staphylococcus aureus.
10. ГОСТ 30518-97 Продукты пищевые, методы выявления и определения количества бактерий группы кишечных палочек (колиформных бактерий).
11. Methods for Microbiological examination of food and animal feeding stuff. Part 7. Enumeration of Staphylococcus aureus by colony count technique. [LSO title: Microbiology – General guidance for enumeration of Staphylococcus aureus – Colony count technique]. Bs 5763: Part 7: 1983. LSO 6888-1983;

САНИТАРНО-БАКТЕРИОЛОГИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ПИЩЕВЫХ ПРОДУКТОВ В г. ТБИЛИСИ В 2000-2004 гг.

Б.В. Курашвили

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Санитарно-бактериологические исследования мяса и мясопродуктов, молока и молочных продуктов в 2000-2004 гг, в городе Тбилиси показали, что из исследованных 280 проб мяса и мясопродуктов, в 92 образцах обнаружено обсеменение *E.coli*, превышающее санитарные нормы. В 2004 году степень обсеменения возросла до 10%, когда в 2000 году она составляла всего 5%.

В 2000-2004 годах исследования молока и молочных продуктов показали, что в 2000 году, из 45 исследуемых образцов, в 27 была выделена *E.coli*, а в 2004 было исследовано 70 образцов и, соответственно, в 31 случае была выделены *E.coli*. Патогенные бактерии не были обнаружены ни в одном случае.

Причиной вышеописанного положения, по-видимому, является нарушение санитарно-технологического режима производства и нарушение работниками предприятий правил личной гигиены.

SANITARY-BACTERIOLOGICAL EXAMINATION OF SOME FOOD PRODUCTS IN TBILISI IN 2000-2004

B. Kurashvili

Tbilisi State Medical University

SUMMARY

In 2000-2004 Central Sanitary-Bacteriological Laboratory carried out microbiological examination of 280 samples of meat and meat products. In 92 cases, semination of *Escherichia coli* exceeded the norm. In 2004 rate of semination increased up to 10%, while in 2000 it was only 5%. In 2000-2004 examinations of milk and milk products has been carried. In 2000, there were examined 45 samples and in 27 *E.coli* were found. In 2004 quantity of samples slightly increased; there were 70 samples and, respectively, in 31 *E.coli* were detected. Pathogenic bacteria were absent.

Supposedly, the reason of such situation must be violation of sanitary-hygiene norms by production enterprises and personnel' poor sanitary-hygiene awareness.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2005, ტ. 31, № 3.
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2005, т. 31, № 3.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2005, vol. 31, No. 3.

სამიწისა და ნიღბის ენერგიების როლი მხედველობით ნიშანთა დაკავშირების პროცესში. ნაწილი 2: ნიღბის ენერგია

მ. შარივაძე, ა. კეჭელი, მ. ჰერცოგი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; * შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ლოზანა

მიღებულია 10.05.2005

ჩვენს მიერ ახლახანს იქნა აღმოჩენილი “ნიშანთა შექმნის ეფექტი” (ნშმ), რომელიც როგორც სივრცით-დროითი ილუზია, საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ მხედველობით ნიშანთა ინტეგრაცია სივრცით-დროითი ასპექტების ნატიფი დეტალების გათვალისწინებით [9, 25, 26]. ამ ნაშრომში ვაჩვენებთ, რომ ნიღბის ენერგია გავლენას არ ახდენს ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე და მეორე რიგის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა ცხაურის სივრცითი ორგანიზაცია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი რიგის ნიშანი-სიკაშკაშე, ანუ ცხაურის ენერგია.

საკვანძო სიტყვები: ნიშანთა შექმნა, დაკავშირების პრობლემა, შენიღბვა, ვერნიერის სტიმული

ნიშან-თვისებათა დაკავშირების ფენომენი დიდი ხანია კამათის საგანია [23], რადგან კვლავაც უცნობი რჩება, როგორ ახერხებს მხედველობის სისტემა ამ პრობლემის გადაწყვეტას [27, 34, 35]. ნიშანთა დაკავშირების პრობლემა აღიძვრება იმიტომ, რომ სცენის სხვადასხვა ასპექტი ახალი ქერქის სხვადასხვა უბანში მუშავდება, რომელთა უჯრედებიც განსხვავდება რეცეპტული ველების ზომებით და იერარქიით [11, 33]. ასევე განსხვავებულია ამ ასპექტების შესახებ ინფორმაციის გადაცემის გზები და სიჩქარე.

ნიშანთა დაკავშირების მრავალი სახე არსებობს [29, 30] და ამიტომ ეს პრობლემა სხვადასხვა პარადიგმაში შეისწავლება: ნიშანთა დაკავშირება, როცა ობიექტის ესა თუ ის ნიშანი (ფორმა, ფერი, მოძრაობა) უნდა დაუკავშირდეს იმ ობიექტს, რომელსაც ის ეკუთნის; ნაწილთა დაკავშირება, როცა მთლიანი ობიექტის აღსაქმელად ობიექტის ნაწილები ფონიდან უნდა გამოიყოს; იერარქიული დაკავშირება, რომელშიც ფორმის განმსაზღვრელი კონტურების ნიშნები (ორიენტაცია, სიმრუდე, სიახლოვე)

ამ ნიშნების მატარებელი ზედაპირის განმსაზღვრელ ნიშნებს (სიკაშკაშე, ფერი, ტექსტურა, მოძრაობა, სტერეოსკოპული სიღრმე) უნდა დაუკავშირდეს [3]; დროითი დაკავშირება, რომლის დროსაც ერთი და იგივე ობიექტის მიმდევრობითი წარდგენისას უნდა მოხდეს მისი ტრანსფორმირების (მაგ. რეალური და ილუზორული მოძრაობის) აღქმა; ლოკალიზაციის დაკავშირება, როდესაც ობიექტები უნდა დაუკავშირდეს თავიანთი ლოკალიზაციის ადგილს. ობიექტები და მათი ლოკალიზაცია, როგორც ჩანს, განცალკევებულად კოდირდება “სად” და “რა” მხედველობითი გზებით. აქედან მოდის ერთ-ერთი ძირითადი “დაკავშირების პრობლემა” “რა”-სა და “სად”-ს შორის [7, 39].

ნიშანთა ინტეგრაციის მექანიზმების შესასწავლად ფართოდ და ეფექტურად გამოიყენება ე.წ. ილუზორული დაკავშირების ფენომენი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ მექანიზმების არაადეკვატური მოქმედების შედეგი, ანუ შეცდომა. ნიშანთა ინტეგრაციის შეცდომა ილუზორული აღქმის სახით, უმეტესად, ლაბორატორიულ პირობებში ვლინდება [31, 32].

ნიშანთა დაკავშირება სულაც არ მოითხოვს ელემენტების წარდგენის სინქრონულობას. არასწორი დაკავშირება შეიძლება მოხდეს ერთსა და იგივე ადგილას მიმდევრობით წარდგენილი ელემენტების მონაწილეობითაც [18], რასაც ადგილი აქვს ნიშანთა შექმნის ეფექტშიც. მასში გამოყენებული სტიმულების წარდგენის მცირე ხანგრძლივობა განსაზღვრავს ილუზორულ ეფექტს, ანუ ნიშანთა არასწორ დაკავშირებას. ნიშანთა შექმნის ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ თუ მცირე ხნით წარდგენილი წანაცვლებები ვერნიერის სტიმულის შემდეგ ეკრანზე მყისიერად განდება მეორე სტიმული – ხუთი სწორი ვერნიერისაგან შედგენილი ცხაური, ეს უკანასკნელი შენიღბავს ვერნიერის სტიმულს და შეიძენს მის ნიშანს – სივრცით წანაცვლებას. ილუზორული ეფექტი მხედველობითი სტიმულების შენიღბვის გამო ჩნდება: მეორე სტიმული თრგუნავს პირველს, რის გამოც იგი უხილავი ხდება. როგორც აღმოჩნდა, [25], ნშპ-ში, რაც უფრო “ძლიერია” (ანუ მეტი ენერჯის მქონეა) ვერნიერის სტიმული, მით უფრო ძლიერი ილუზორული ეფექტი მიიღება. ამ ნაშრომში მეორე სტიმულის, ანუ ნიღბის ენერჯის გავლენას შევისწავლით, რათა დადგინდეს, რომელი სტიმულის ენერჯია განსაზღვრავს ნიშანთა შექმნის ეფექტს.

მასალა და მეთოდები

ზოგადი მეთოდები, პროცედურა, ცდის პირები და ძირითადი ამოცანა დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენს წინა ნაშრომში [25].

შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტი I: ცხაურის ენერჯის განაწილება


ამ ექსპერიმენტში, რომელშიც ოთხი ცდის პირი მონაწილეობდა, იცვლებოდა ნიღბის ენერჯია და მისი განაწილება სივრცეში. სარწმუნოდაა დადგენილი, რომ ვერნიერისა და ცხაურის ნიშნების

ინტეგრაცია ხორციელდება ყურადღების ფოკუსში [9, 26], რომელიც ცხაურის ერთ-ერთი კიდისკენაა მიმართული. როგორც წინა ექსპერიმენტებში დადგინდა [25], უფრო ხშირად ეს მარცხენა კიდეა. ცდების დაწყებამდე ყოველი მონაწილესათვის განისაზღვრებოდა უპირატესი კიდე, რომელიც უცვლელი რჩებოდა ყველა ექსპერიმენტში. პირველ ექსპერიმენტში ცხაურის ორი ელემენტის სიგრძის გაზრდით შეიცვალა ცხაურის ენერჯის სივრცული განაწილება. ცდაში სამი ექსპერიმენტული პირობა იყო: "სტანდარტული", "1-5 ელემ." და "2-4 ელემ.". ბოლო ორი პირობა პირველისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ცხაურის შემადგენელი ხუთი ვერნიერიდან ორის სიგრძე გაზრდილი იყო: ერთ შემთხვევაში, პირველი და მეხუთე ელემენტების, მეორე შემთხვევაში კი მეორე და მეოთხე ელემენტების სიგრძე იყო 800" ("კუთხური სეკუნდი) (სურ. 1ა).

ცხაურის ელემენტების სიგრძის გაზრდა მნიშვნელოვნად აუარესებს ვერნიერის წანაცვლების დისკრიმინაციას (სურ. 1ბ). როდესაც დიდი ზომის ელემენტები ცხაურის კიდეზეა, შედეგები მცირედ უარესდება სტანდარტულ პირობასთან შედარებით, მაგრამ თუ ისინი ცხაურის შიგნითაა მოხვედრილი, სწორი პასუხების რაოდენობა 70%-ზე ნაკლებია.

ა.

ბ.




სურ. 1. გამოყენებული სტიმულები (ა) და შედეგები (ბ): ცხაურში გამოირჩევა უფრო დიდი, 800"-ის ზომის პირველი და მეხუთე (1-5.ელემ. პირობაში), და მეორე და მეოთხე ვერნიერის სტიმული (2-4.ელემ. პირობაში). სტიმულების სხვა სივრცით-დროითი პარამეტრები იგივეა, რაც წინა ექსპერიმენტში. ორდინატთა დერძზე ნაჩვენებია ვერნიერის სტიმულის წანაცვლების მიმართულებაზე სწორი პასუხების პროცენტული რაოდენობა.

ექპერიმენტი 2. კიდურა ელემენტების ენერჯია


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერნიერისაგან "მიგრირებული" და ცხაურის მიერ "შექნეილი" წანაცვლება ცხაურის იმ ერთ კიდესთან აღიქმება,

რომელზეც ყურადღებაა ფოკუსირებული. ცხაურის სხვა ელემენტები მხედველობაში არ მიიღება და ცხაურის წანაცვლებაზე ცდის პირებს წარმოდგენა მისი კიდურა წვერის მიხედვით ექმნებათ [26]. ამ ექსპერიმენტში მხოლოდ ცხაურის კიდურა ელემენტის ენერგია იცვლებოდა მისი სიგრძის ცვლილების ხარჯზე. სულ 6 სიდიდე იყო გამოყენებული: 200", 400", 600", 800", 1000" და 1200". ცდაში მონაწილეებდა ოთხი პირი. ექსპერიმენტი სამ სერიად ჩატარდა. სტანდარტულ სერიაში ცხაურის ყველა ელემენტი ტოლი იყო, დანარჩენში კი მხოლოდ პირველი და მეხუთე ელემენტის ზომა იცვლებოდა. მეორე სერიაში ვერნიერის სტიმული სწორი (ვერნიერი), ცხაურის კიდურა ელემენტი კი წანაცვლებული იყო (იხ. სურათი 2). მესამე სერიაში ვერნიერის სტიმული წანაცვლებული იყო ისევე, როგორც ცხაურის ყურადღების ფოკუსში მოხვედრილი კიდურა ელემენტი (ვერნ.ანტი-ვერნ). მათი წანაცვლების მიმართულება ყოველთვის ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, ე.ი. გვქონდა ვერნიერი და ანტი-ვერნიერი.

ა.



ბ.




ცხაურის ელემენტების ზომა (")

სურ. 2. მეორე ექსპერიმენტის სამივე სერიაში გამოყენებული სტიმულები (ა) და შედეგები (ბ) "სტანდარტული", "ვერნიერი" და "ვერნ.ანტი-ვერნ" პირობებისათვის. ორდინატოა ღერძზე ნაჩვენებია ვერნიერის სტიმულის წანაცვლების მიმართულებაზე სწორი პასუხების პროცენტული რაოდენობა, აბცისაზე – ცხაურის ელემენტების ზომა.

ექსპერიმენტმა გამოავლინა (სურ. 2ბ), რომ შედეგები მეტ-ნაკლებად ერთნაირია, თუმცა შედარებით უკეთესია 600 ზომის სტიმულებისათვის, ანუ სტანდარტული პირობებისათვის.

ექსპერიმენტი 3. სიკაშკაშის გავლენა

ამ ექსპერიმენტში ვცვლიდით ვერნიერისა და ცხაურის სხვადასხვა ელემენტის სიკაშკაშეს, მაშინ, როდესაც სხვა სივრცით-დროითი პარამეტრები იგივე იყო, რაც ნიშანთა შექმნის ეფექტის სტანდარტული პირობისას. ცდაში ოთხი პირი მონაწილეობდა. სამ პირობაში სტანდარტული სტიმულები წარედგინებოდა (სტანდარტული, სტანდ.ვერნო და სტანდ.ანტი-ვერნ), სხვა დანარჩენებში კი სხვადასხვა ელემენტის სიკაშკაშე ორმაგდებოდა (სურ. 3): მოლიანი ცხაურის (2X.ცხაური), ცხაურისა და ვერნიერის (2X.ცხაური.ვერნ), პირველი ელემენტის (2X.1ელემ), პირველი და მეხუთე ელემენტის (2X.1-5ელემ), პირველი ელემენტის სწორი ვერნიერის წარდგენის პირობებში (2X.1ელემ.ვერნ) და პირველი ელემენტის ვერნიერისა და უპირატესი კიდის ელემენტის წანაცვლების პირობებში (2X.1ელემ.ანტი-ვერნ).



სურ. 3. ვერნიერისა და ცხაურის ელემენტების სიკაშკაშის ცვლის შედეგები.

ამ ცდამ გამოავლინა, რომ ცხაურის ენერჯის მატება ღიდ გავლენას არ ახდენს შედეგებზე, მაშინ, როდესაც ვერნიერის სტიმულის ენერჯის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის ვერნიერის წანაცვლების დისკრიმინაციის ალბათობას. როდესაც გვაქვს უპირატესი კიდის ელემენტის გაზრდილი ენერჯია და ნულოვანი სტანდარტული ვერნიერი, მაშინ კიდურა ელემენტი დომინირებს და განაპირობებს შედეგებს როგორც ნულოვანი (2X.1ელემ.ვერნ), ისე წანაცვლებული ვერნიერის გამოყენებისას (სურათი 3).

შენიღბვა:

მხედველობითი პატერნის შენიღბვა ხდება მაშინ, როდესაც პირველი სტიმულის, ანუ სამიზნის ამოცნობა უარესდება, თუ კი მას მცირე დროითი ინტერვალით დაცილებული სხვა სტიმული (ნიღაბი) მოსდევს. ამ ტიპის შენიღბვას უკუქცევითი ეწოდება, რადგან მეორე სტიმული აუარესებს წინა სტიმულის აღქმას. მხედველობითი შენიღბვის ფენომენი მრავალი ფიზიოლოგისა და ფსიქოლოგის მიერ იყო შესწავლილი [6, 12, 17, 21, 28] და ძირითადი წარმოდგენები მისი ფიზიოლოგიური მექანიზმების შესახებ უკვე ჩამოყალიბებულია [14, 22, 24]. ამ ფენომენის ნეირონული საფუძველი ნეირონულ წარმომადგენლობებს შორის კონკურენცია უნდა იყოს. სხვა სიტყვებით, მხედველობითი ველის ერთი და იგივე ადგილზე მიმდევრობით წარდგენილი ორი სტიმულის განმოსახულება ქერქში გამოიწვევს თითოეული სტიმულის შესაბამის ნეირონულ პასუხს. ნეირონული აქტივობის მდგრადობის გამო, ეს პასუხები დროში გადაფარვადი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ თვით სტიმულები მიმდევრობით იყო წარდგენილი [4, 5]. ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია, რომ ორი სტიმული მდებარეობდეს სივრცის ერთსა და იმავე წერტილში დროის ერთსა და იმავე მომენტში. აქედან, ნერვული სისტემა ვერ უნდა ამუშავებდეს ამგვარ ინფორმაციას. თუ სენსორული ინფორმაცია ააქტივებს ნეირონთა ორ განსხვავებულ პოპულაციას, რომლებშიც ხდება ერთსა და იმავე ადგილზე წარდგენილი ორი სხვადასხვა ობიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, მაშინ ამ ორ შეუთავსებელ წარმომადგენლობას შორის კონკურენცია განაპირობებს იმას, რომ სწრაფად „იმარჯვებს“ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. მხედველობითი ნეირონული პასუხის მდგრადობის გამო მცირე ხნით წარდგენილი (შეუნიღბავი) სტიმული სუბიექტურად მცირე ხნით ხილვადი რჩება მისი ეკრანიდან გაქრობის შემდეგაც [4, 5]. ეს იმას გულისხმობს, რომ სტიმულზე მოპასუხე ნეირონები უნდა განიმუხტებოდეს წარდგენის ხანგრძლივობაზე უფრო დიდ ხანს. ამ ფაქტს ადასტურებს ნეიროფიზიოლოგიური კვლევებიც – რაც უფრო მაღალ დონეს მიეკუთვნება ნეირონი, მით ხანგრძლივია მისი ნეირონული პასუხის მდგრადობა. ბადურის უჯრედები სტიმულის წარდგენის ხანგრძლივობაზე დაახლოებით 60 მს-ით მეტ ხანს პასუხობენ [19] და ეს პასუხი ნიღბისაგან დამოუკიდებელია. თუმცა, გარეთა დამუხლული სხეულის, ქვედა საფეთქლის ქერქის (IT) და ზედა საფეთქლის დარის (STS) ნეირონების პასუხების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სამიზნის თანამდევნი ნიღბის არსებობაზე და მისი წარდგენის დროით პარამეტრებზე. ნიღბის გარეშე ნეირონული პასუხი შენარჩუნებულია დაახლოებით 300 მს [13, 14, 17, 21, 22, 24], მაგრამ თუ სტიმულს მაშინვე მოჰყვება ნიღაბი, მაშინ STS-ის ნეირონების აქტივობა დაახლოებით 60 მს გრძელდება. ნეირონული პასუხის მდგრადობა დამოკიდებული არაა იმაზე, ახსოვს თუ არა ცდის პირს სტიმული. ნეირონული პასუხის მდგრადობა განაპირობებს შენიღბვის შედეგებსაც. კონკურენტული სტიმულების ერთმა ასპექტმა (მაგ. ფორმამ) შეიძლება უფრო მეტად დათრგუნოს სამიზნე [15] და გახადოს იგი უხილავი, ვიდრე სტიმულის სხვა მახასიათებელმა (მაგ. მოძრაობამ). შეიძლება, უხილავი

სტიმულის რომელიმე ნიშანი (მაგალითად, ვერნიერის წანაცვლება) გადაეცეს მეორე, ხილულ სტიმულს [1, 8, 9]. ნიშანთა მიგრაცია არა მარტო ვერნიერის სტიმულისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სხვა ტიპის სტიმულებისთვისაც [2, 20, 37, 38].

ენერგიის როლი

უპოქცევითი შენიღბვის დროს, როდესაც სტიმულთაშორისი ინტერვალი არ არსებობს, ნიღბის ენერგია უნდა განსაზღვრავდეს შედეგებს. ნიშანთა შექენის ეფექტი “ა” ტიპის შენიღბვის მახასიათებლებს ავლენს [16], რომელშიც გაზრდილი სტიმულთაშორისი ინტერვალი (I_შ) აძლიერებს ილუზორულ ეფექტს [10]. თვით ნიღბის ენერგია განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს (იხ. სურ. 2), რადგან ადგილი აქვს ვერნიერის “მიგრაციას”. დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულების (ვერნიერის) ლოკალიზაციას ანუ მიგრაციის მანძილს. მიგრაცია ცხაურის ენერგიისაგან დამოუკიდებლად ხდება. როდესაც ვერნიერის სტიმულის ენერგია იმატებს (მისი სიკაშკაშის გაორმაგებით), ვერნიერის წანაცვლების დისკრიმინაციის ალბათობა იზრდება (მე-3 ექსპერიმენტი).

სივრცული ასპექტები

ნ^შმ საკმაოდ მდგრადია სივრცული მანიპულაციებისადმი. მაგალითად, ცხაურის შემადგენელი ელემენტების რიცხვის ცვლა არ ახდენს გავლენას შედეგებზე [26]. რაც უფრო მცირეა მიგრაციის მანძილი (მაგალითად, როდესაც იცვლება ვერნიერის პოზიცია, ან ცხაურის სივრცითი სიხშირე და განფენილობა), მით უფრო ადვილია ვერნიერის წანაცვლების დისკრიმინაცია [9, 26]. თუმცა, როცა ერთის ნაცვლად რამდენიმე ვერნიერია წარდგენილი, შედეგები მცირედ უმჯობესდება [25]. ასევე დიდი მნიშვნელობა არ აქვს ცხაურის სივრცითი პარამეტრებით მანიპულაციებს (იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც ცვლის მიგრაციის მანძილს), რასაც მოწმობს პირველი, მეორე და მესამე ექსპერიმენტი. ნათელია, რომ არსებითი მნიშვნელობა ჯერ ვერნიერის პოზიციას ენიჭება, შემდეგ კი – მის ენერგიას და არა სტიმულების საერთო ენერგიას.

ჩვენ ცდებში ნიშანთა ინტეგრაციის პრობლემას მცირე სივრცით-დროით ინტერვალში ვსწავლობთ, რაც იძლევა ამ პროცესის დეტალურად დაკვირვების საშუალებას. ჩვენ ენერგიის როლის გარკვევა გეგმონდა მიზნად და დაავადინეთ, რომ ხშირად სტიმულების ენერგია განსაზღვრავს შედეგებს და ჩვენ შემთხვევაში ეს ვერნიერის (სამიზნის) ენერგიაა.

შენიშვნა

ეს ნაშრომი, ისევე, როგორც მისი პირველი ნაწილი [25], დაფინანსებულია ფოლკსვაგენის ფონდის “Between Europe and the Orient – A Focus on Research and High Education in/on Central Asia and the Caucasus” პროგრამის (AZ-1/80 096) და NATO-ს თანამშრომლობითი გრანტით.

წიტირება

1. *Andrews T.J., Blakemore C.* Nat. Neurosci., 1999, 2, 405-406.
2. *Butler B.E., Mewhort D.H., Browse R.A.* Perception & Psychophysics, 1991, 49, 91-99.
3. *Cavanagh P.* Comput Vision Graphics Image Processing, 1987, 37, 171-195.
4. *Coltheart M.* Philos. Trans. R. Soc. London B Biol. Sci., 1980, 290, 57-69.
5. *Coltheart M.* Percept. Psychophys., 1980, 27, 183-228.
6. *Enns J.T., Di Lollo V.* Trends Cogn. Sci., 2000, 4, 345-352.
7. *Haxby J.V., Grady C.L., Horwitz B., Salemo J., Ungerleider L.G., Mishkin M., Schapiro M., Rapaport S.L.* In: Functional organization of the human visual cortex. Guliash B., Ottoson D., Roland P.E. (Eds.), Oxford: Pergamon Press, 1993, 329-340.
8. *Herzog, M.H., Koch C., Fahle M.* Visual Cognition, 2001, 8, 623-636.
9. *Herzog M.H., Koch C.* Proc. Natl. Acad. Sci., USA, 2001, 98, 4271-4275.
10. *Herzog M.H., Harms M., Ernst U., Ewrich K.W., Mahmud S.H., Fahle M.* Vision Res., 2003, 43, 2659-2667.
11. *Gulias B., Roland P.E.* Neuroreport, 1991, 2, 585-588.
12. *Kahneman D.* Psychol. Bull., 1968, 70, 404-425.
13. *Keysers C., Xiao D.K., Perrett D.I., Foldiak P.* Soc. Neurosci. Abstr., 2000, 26, 1842.
14. *Keysers C., Xiao D.K., Foldiak P., Perrett D.I.* J. Cognitive Neuroscience, 2001, 13:90-101.
15. *Keysers C., Perrett D.I.* Trends in Cognitive Sciences, 2002, 6, 120-125.
16. *Kolers P.A.* Vision Res., 1962, 2, 277-294.
17. *Kovacs G., Vogels R., Orban G.A.* Proc. Natl. Acad. Sci. U.S.A., 1995, 92, 5587-5591.
18. *Lawrence D.H.* Percept. Psychophys., 1971, 10, 85-89.
19. *Levick W.R., Sacks J.L.* J. Physiol., 1970, 206, 677-700.
20. *Muesseler J., van der Heijden A.H., Mahmud S.H., Deubel H., Ertsey S.* Perception & Psychophysics, 1999, 61, 1646-1661.
21. *Rolls E.T., Tovee M.J., Panzeri S.* J. Cogn. Neurosci., 1999, 11, 300-311.
22. *Rolls E.T., Tovee M.J.* Proc. R. Soc. London B Biol. Sci., 1994, 257, 9-15.
23. *Roskies A.L.* Neuron, 1999, 24, 7-9.
24. *Schiller P.H.* Vision Res., 1968, 8, 855-866.
25. *Sharikadze M., Otto T., Herzog M.* Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser.-A, 2005, 31, 101-110 (in Georgian).
26. *Sharikadze M., Fahle M., Herzog M.H.* Vision Res., 2005 (In press).
27. *Singer W.* Neuron, 1999, 24, 49-65.
28. *Stewart A.L., Purcell D.G.* Perception & Psychophysics, 1970, 7, 253-256.
29. *Treisman A.Q.* J. Exp. Psychol., 1988, 40A, 201-237.
30. *Treisman A.* Current Opinion in Neurobiology, 1996, 6, 171-178.
31. *Treisman A., Peterson R. J.* Exp. Psychol., (Hum. Percept. Perform.), 1984, 10, 12-21.
32. *Treisman A., Schmidt H.* Cogn. Psychol., 1982, 14, 107-141.
33. *van Essen D.C., Felleman D.J., De Yoe E.A., Olavarria J., Knierim J.* Cold Spring Harb. Symp. Quant. Biol., 1991, 55:679-696.
34. *von der Malsburg C.* Current Opinion in Neurobiology, 1995, 5, 520-526.
35. *von der Malsburg C.* Neuron, 1999, 24, 95-104.
36. *Watt R.J., Morgan M.J.* Vision Res., 1984, 24, 1387-1397.
37. *Wilson A.E., Johnson R.M.* Vision Res., 1985, 25, 283-288.
38. *Wolford G., Shum K.H.* Perception & Psychophysics, 1980, 27, 409-420.
39. *Ungerleider L.G., Mishkin M.* Two cortical visual systems. Cambridge, Massachusetts: MIT Press, 1982.

РОЛЬ ЭНЕРГИЙ СТИМУЛА И МАСКИ В ПРОЦЕССЕ СВЯЗЫВАНИЯ ЗРИТЕЛЬНЫХ ПРИЗНАКОВ. ЧАСТЬ II: ЭНЕРГИЯ МАСКИ

*М. Шарикадзе, А. Кезели, М. Герцог**

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси; * Федеральный институт технологий, Лозанна, Швейцария

РЕЗЮМЕ

Нами недавно был описан “эффект приобретения признаков”, который, являясь пространственно-временной иллюзией, позволяет изучить процесс интеграции зрительных признаков с учетом тонких деталей пространственно-временных аспектов [9, 25, 26]. В настоящей работе мы показываем, что энергия маски не влияет на течение процесса интеграции, причем показатель второго порядка, каким является пространственная организация решетки, имеет более важное значение, чем показатель первого порядка – яркость, или энергия решетки.

THE ROLE OF TARGET AND MASK ENERGIES IN VISUAL FEATURE INTEGRATION. PART II: THE MASK ENERGY

*M. Sarikadze, A. Kezeli, M. Herzog**

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; * Swiss Federal Institute of Technology, Lausanne, Switzerland

SUMMARY

In the recent publications we introduced the feature inheritance effect that allows us to study integration of features in great spatio-temporal detail [9, 25, 26]. In the last article [25] we have shown that energy of one vernier matters and 600" of vernier size is optimal for the feature inheritance. Here, we show that the spatial layout of the grating, i.e. the second order property, is more important than the first order property – luminance. Doubling of luminance only of the grating virtually does not change performance. Changes of the grating energy do not influence performance i.e. features are migrated independent of the grating energy.

პირაცეტამისა და დიაზეპამის გავლენა

ნეოკორტიკალური ფარმოლოგიის პრინციპებით აქტივობაზე

ლ. ხუჭუა, ე. სარალიძე, თ. იოსელიანი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 13.04.2005

კვლევის მიზანი იყო ქერქული წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციების შესწავლა ძილის ნელტალდოვან ფაზაში და ფარმაკოლოგიური ნივთიერებების წინასწარი ინექციის ფონზე.

ცდებს ვატარებდით თეთრ ვირთაგვებზე ქრონიკული და მწვავე ექსპერიმენტის პირობებში. კეტალარით დანარკოზებული ცხოველების თავის ტვინში ვნერგავდით კონსტანტანის ბიოლარულ და უნიოლარულ ელექტროდებს ჰიპოკამპსა და ახალ ქერქში. დორსალური ჰიპოკამპის ხანმოკლე ელექტრული გაღიზიანებით ვიწვევდით ფოკალურ კრუნჩხვით განმზუსტებებს. პირაცეტამი (20-25 მგ/კგ) და დიაზეპამი (0,5-1 მგ/კგ) შეგვყავდა პერიტონეუმში. თავის ტვინის ელექტრულ აქტივობას ვიწვრდით უნგრულ ელექტროენცეფალოგრაფზე. ცდის ბოლოს ცხოველებს ვკლავდით, თავის ტვინს ვაფიქსირებდით ფორმალინის 10%-იან ხსნარში შემდგომი პისტოლოგიური კონტროლის მიზნით

ქრონიკული ცდების პირველი სერიაში ნანახი იქნა, რომ ქერქის გაღიზიანება უფრო ხანგრძლივ კრუნჩხვით განმზუსტებებს გვაძლევს ღვიძილის დროს, ვიდრე ძილის ნელტალდოვან ფაზაში, რაც მიუთითებს ღვიძილის ფაზაში ახალი ქერქის ეპილეპტოგენური ზღურბლის შემცირებაზე.

პირაცეტამის წინასწარი ინექციის შემდეგ ქერქის გაღიზიანება უფრო ხანმოკლე კრუნჩხვით განმზუსტებებს იწვევდა, ვიდრე ინექციამდე. მსგავსი ეფექტი მივიღეთ დიაზეპამის შემთხვევაშიც, იმ განსხვავებით, რომ მცირდებოდა როგორც ქერქული, ასევე ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციები, რაც ქერქში და ჰიპოკამპში ეპილეპტოგენური ზღურბლის გაზრდაზე მეტყველებს. მიღებული შედეგები გამოწვეული უნდა იყოს ახალ ქერქში ბაზემ-ერგული ანტიდრომული შეკავების გაძლიერებით და ჰიპოკამპში – უკუქვეითი კოლატერალების შემაკავებელი გავლენის გაძლიერებით.

საკვანძო სიტყვები: დორსალური ჰიპოკამპი, ახალი ქერქი, ძილ-ღვიძილის ციკლი, ეპილეპტიფორმული განმზუსტებები, ლურჯი ლაქა, პირაცეტამი, დიაზეპამი.

კლინიკური მონაცემებიდან ცნობილია, რომ ტემპორალური ეპილეპსიით დაავადებულ ადამიანებში კრუნჩხვები აღმოცენდება არა მარტო ღვიძი-

ლისას, არამედ ძილშიც [4]. ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულ ცდებში, ვირთაგვას ეპილეპსიურ მოდელზე ვნახეთ, რომ ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციები უფრო ხანგრძლივია ნელი ძილის ფაზაში, ვიდრე ღვიძილში [9]. ბოლო წლებში, ეპილეპსიასთან კავშირში, განსაკუთრებული ყურადღება თავის ტვინის ნორადრენერგულმა ბირთვმა, ლურჯმა ლაქამ (ლლ) (*Locus coeruleus*) მიიპყრო, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძილ-ღვიძილის ციკლის (ძღც) რეგულაციაში. ლლ-ის გაღიზიანება, ზრდის რა ქერქული უჯრედების აქტივობას, აქვეითებს მათ ეპილეპტოგენურ ზღურბლს, ხოლო მეორე მხრივ, იგი შემაკავებელ გავლენას ახდენს ჰიპოკამპზე და ზრდის მის ეპილეპტოგენურ ზღურბლს [1].

იმის გამო, რომ კრუნჩხვები შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ჰიპოკამპში, ასევე ახალ ქერქში მომხდარი პათოლოგიური ცვლილებებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვესწავლა ქერქული წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციების ცვლილებები ძღც-ში. ინტერესს იწვევს, აგრეთვე, ისეთი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების გავლენა ახალი ქერქის ეპილეპტოგენურ ზღურბლზე, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები აქვთ. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა პირაცეტამის, ანუ ქერქის გამააქტიურებელი [2, 6, 8] ნივთიერების და დიაზეპამის, ანუ ზოგადი სედატიური ნივთიერების [3] გავლენა.

მასალა და მეთოდები

ცდებს ვატარებდით თეთრ ვირთაგვებზე, მწვავე და ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში. ექვამინით დანარკოზეულ ცხოველებში (12 მგ/კგ), სტერეოტაქსული კოორდინატებით ვნერგავდით ქარხნული წესით დამზადებულ კონსტანტანის სარეგისტრაციო და გამღიზიანებელ ელექტროდებს ჰიპოკამპსა და ახალ ქერქში [7]. პირაცეტამი (20-25 მგ/კგ) და დიაზეპამი (0,5-1 მგ/კგ) შეგვყავდა პერიტონეუმში. აღნიშნული სტრუქტურების მაღალსიხშიროვანი ელექტრული გაღიზიანებით გამოწვეულ ევოქტებს ვიწერდით უნგრულ ელექტროენცეფალოგრაფზე.


ცდების თითოეული სერიის დასასრულს ცხოველებს ვკლავდით, თავის ტვინს ვავიქსირებდით ფორმალინის 10%-იან ხსნარში. ელექტროდების არაიზოლირებული ბოლოების ლოკალიზაციას ვამოწმებდით ფიქსირებული ტვინის ფრონტალურ ანათლებზე. მიღებულ ექსპერიმენტულ მასალას ვამუშავებდით სტიუდენტის t-ტესტით.

შედეგები და მათი განხილვა

ცდის პირველ სერიაში, ქრონიკულ ვირთაგვებზე, შევისწავლიდით ქერქული წარმოშობის კრუნჩხვითი აქტივობის ცვლილებებს ცხოველის ძილისა და ღვიძილის ფაზებში. ძილის 12-საათიანი დეპრევიაციის შემდეგ ვირთაგვის ქერქს ვაღიზიანებდით 3-3 ჯერ, რიტმული სტიმულების ხანმოკლე სერიებით. (რიტმულ გაღიზიანებებს შორის ინტერვალი იყო არანაკლებ 20 წთ-ისა) და ვარჩევდით ისეთ მინიმალურ ძალას, რომელიც

სამივეჯერ იწვევდა დაახლოებით თანაბარი ხანგრძლივობის კრუნჩხვებს. ასეთი ინტენსივობით ვალიზიანებდით ახალ ქერქს ვირთაგვის ძილისა და ღვიძილის დროს და აღმოცენებული კრუნჩხვითი რეაქციების ხანგრძლივობას ვადარებდით ერთმანეთს.

სურ. 1A, B-ზე მოტანილია ქერქის ეპილეპტოგენური ზღურბლის ცვლილება ვირთაგვის ძღ-ში. სურათზე ჩანს, რომ ქერქის მაღალსიხშიროვანი (30 ჰც) ელექტრული გაღიზიანების საპასუხოდ (სწორი ხაზი) კრუნჩხვითი განმუხტვები აღმოცენდება როგორც ახალ ქერქში, ისე ჰიპოკამპში. უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციები უფრო ხანგრძლივია ცხოველის ღვიძილისას (B), ვიდრე ძილის დროს (A).




სურ. 1. ქერქული წარმოშობის ეპილეფტოგორმული განმუხტვები ძილისა (A) და ღვიძილის (B) ფაზაში. 1 - მარჯვენა ნეოკორტექსი; 2 - მარცხენა ნეოკორტექსი; 3 - მარჯვენა დორსალური ჰიპოკამპი; 4 - მარჯვენა ვენტრალური ჰიპოკამპი. ღიზიანდება მარჯვენა ნეოკორტექსი (30 ჰც, 30 ვ, 0,2 მს, 10 ს).

აღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ ღვიძილის მდგომარეობაში, როდესაც ქერქის აქტივობა მომატებულია, მისი ეპილეპტოგენური ზღურბლი ქვეითდება. იგივე შედეგები მიღებულია სხვა ვირთაგვებზეც ($n = 5$) და ისინი სტატისტიკურად სარწმუნოა (სურ. C).

სურ. 2 (A, B, C)-ზე წარმოდგენილია ისეთი ცდის შედეგები, რომელშიც შესწავლებოდა პირაცეტამის ინექციის გავლენა ქერქული წარმოშობის კრუნჩხვების ხანგრძლივობაზე. სურათიდან ჩანს, რომ ქერქის მინიმალური ზეზღურბლოვანი გაღიზიანებით გამოიწვევა ფოკალური ხასიათის კრუნჩხვითი განმუხტვები (სურ. 2A). პირაცეტამის პერიტონეუნში შეყვანიდან 20 წუთის შემდეგ, ქერქის გაღიზიანება იგივე პარამეტრებით (სურ. 2B) უფრო ნაკლები ხანგრძლივობის კრუნჩხვით რეაქციებს იწვევს. გარკვეული დროის შემდეგ ქერქის გაღიზიანება დაახლოებით ისეთივე ხანგრძლივობის კრუნჩხვით რეაქციებს იწვევს, როგორც პირაცეტამის ინექციამდე (C). იგივე შედეგები მიღებულია სხვა ცხოველებზეც ($n = 4$). მიღებული შედეგები სტატისტიკურად სარწმუნოა (სურ. 2D).

აღწერილი ეფექტის ასხნა შეიძლება თუ ვივარაუდებთ, რომ პირაცეტამის გამაძლიერებელი ეფექტი ქერქში განპირობებულია არა მისი


უშუალო გამააქტიურებელი მოქმედებით ქერქის ნეირონებზე, არამედ სისხლის მიმოქცევის გაძლიერებით. შესაბამისად იზრდება ნერვული უჯრედების ფუნქციური მდგომარეობა და გააქტიურებულია როგორც ამაღლებელი, ასევე შემცირებელი ნეირონები. ამის გამო ძლიერდება შემცირებელი ნეირონების მოქმედება ქერქის ძირითად ნეირონებზე, რის შედეგადაც მცირდება მათი ეპილეპტიფორმული განმუხტვების ხანგრძლივობა (სურ. 2B). საპირისპიროდ მოქმედებს პირაცეტამი ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვით რეაქციებზე. კერძოდ, თუ ქერქში პირაცეტამი კრუნჩხვითი რეაქციების შეკავებას იწვევს, ჰიპოკამპში ხდება ამ რეაქციების გააღვივლება. ცდების მომდევნო სერიებში ვიკვლევდით დიაზეპამის ინექციის გავლენას ახალი ქერქისა და ჰიპოკამპის ეპილეპტიფორმულ განმუხტვებზე.



სურ. 2. პირაცეტამის წინასწარი ინექციის გავლენა ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვით აქტივობაზე. 1 - მარჯვენა ნეოკორტექსი; 2 - მარჯვენა დორსალური ჰიპოკამპი; 3 - მარცხენა ვენტრალური ჰიპოკამპი. დიაზეპამის გავლენა: მარჯვენა ნეოკორტექსი (30 ჰგ, 25 ვ, 0,2 მს, 7 ს). A - ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციები პირაცეტამის ინექციამდე; B - კრუნჩხვითი განმუხტვები პირაცეტამის ინექციიდან 20წთ-ის შემდეგ; C - პირაცეტამის ინექციიდან 1 საათის შემდეგ.

სურ. 3 (A, B)-ზე ნაჩვენებია ქერქის გაღიზიანებით მიღებული მცირე ხანგრძლივობის კრუნჩხვითი განმუხტვები. დიაზეპამის ინექციიდან 20 წთ-ის შემდეგ ქერქის იგივე პარამეტრებით გაღიზიანება იწვევს უფრო ხანმოკლე კრუნჩხვებს (B). ეს შედეგები სავსებით ეთანხმება ლიტერატურის მონაცემებს, სადაც აღნიშნულია, რომ დიდი ტენიის ქერქში დიაზეპამი იწვევს ბაჰმ-ერგული ანტიდრომული შეკავების გაძლიერებას [2]. ამრიგად, დიაზეპამის მოქმედება ქერქულ უჯრედებზე ისეთივეა, როგორც პირაცეტამის მოქმედება იყო. სურ. 3 (C, D)-ზე ჩანს დორსალური ჰიპოკამპის ელექტრული გაღიზიანებით გამოწვეული ეპილეფსიური აქტივობა. იმავე სურათის D-ზე ნაჩვენებია ეპილეფსიური აქტივობა დიაზეპამის ინექციიდან 20 წთ-ის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ დიაზეპამმა ჰიპოკამპური წარმოშობის

კრუნჩხვებიც შეაკავა, ე.ი. განსხვავებული შედეგი იქნა მიღებული პირაცეტამისა და დიაზეპამის მოქმედებისას ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვებზე. კერძოდ, დიაზეპამმა ჰიპოკამპში კრუნჩხვითი განმუხტვები შეაკავა, ხოლო პირაცეტამმა – გაადვილა. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დიაზეპამი იწვევს თავის ტვინის სპონტანური აქტივობის დაქვეითებას და აძლიერებს უკუქცევითი კოლატერალების შემაკავებელ მოქმედებას ჰიპოკამპის ძირითად უჯრედებზე, რის გამოც იზრდება ჰიპოკამპის ეპილეფტოგენური ზღურბლი [3].



სურ. 3. დიაზეპამის წინასწარი ინექციის გავლენა ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვით განმუხტვებზე (A, B). 1 – მარჯვენა ნეოკორტექსი; 2 – მარცხენა ნეოკორტექსი; 3 – მარჯვენა დორსალური ჰიპოკამპი; 4 – მარჯვენა ვენტრალური ჰიპოკამპი. ღიზიანდება: მარჯვენა ნეოკორტექსი (30 ჰც, 25 ვ, 0,2 მს, 5 ს). A – ნეოკორტექსის გაღიზიანებით წარმოქმნილი კრუნჩხვითი განმუხტვები; B – ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვითი რეაქციები დიაზეპამის ინექციიდან 20 წთ-ის შემდეგ. დიაზეპამის წინასწარი ინექციის გავლენა ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვით განმუხტვებზე (C, D). 1 – მარჯვენა ნეოკორტექსი; 2 – მარცხენა ნეოკორტექსი; 3 – მარჯვენა ვენტრალური ჰიპოკამპი; 4 – მარცხენა დორსალური ჰიპოკამპი. ღიზიანდება: მარჯვენა დორსალური ჰიპოკამპი (30 ჰც, 20 ვ, 0,2 მს, 7 ს). C – ჰიპოკამპის გაღიზიანებით წარმოქმნილი კრუნჩხვითი განმუხტვები; D – ჰიპოკამპური წარმოშობის კრუნჩხვები დიაზეპამის ინექციიდან 20 წთ-ის შემდეგ.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი ქერქის ეპილეფტოგენური ზღურბლი ღვიძლის დროს უფრო დაბალია, ვიდრე ძილის ნელტალღოვან ფაზაში. პირაცეტამის წინასწარი ინექციის შედეგად ახალი ქერქის ეპილეფტოგენური ზღურბლი იზრდება და, შესაბამისად, ნეოკორტიკალური წარმოშობის კრუნჩხვითი განმუხტვები მცირდება. დიაზეპამის წინასწარი ინექციის შედეგად იზრდება როგორც ქერქის, ასევე პიპოკამის ეპილეფტოგენური ზღურბლი და, შესაბამისად, კრუნჩხვითი განმუხტვები მცირდება.

ლიტერატურა

1. ხუჭუა ლ., სარალიძე ე., იოსელიანი თ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. – A, 2004, 30, 595-602.
2. Brown P., Steiger M.J., Thompson P.D., et al. *Mov. Disord.*, 1993, 8, 630-685.
3. Haefely W. J. *of Psychoactive drugs*, 1983, 15, 19-39.
4. Klein K.M., Knake S., Hamer H.M., Ziegler A., Oertel W.H H., Rosenow F. *Epilepsy Res.*, 2003, 56, 43-49.
5. Mendez M., Radtke R.A. *J. Neurophysiology*, 2001, 18, 106-127.
6. Muller W.E., Koch S., Scheuer K., Rostock A., Bartsch R. *Biochem.Pharmacol.*, 1997, 53, 135-140.
7. Paxinos G., Watson Ch. *The Rat Brain in Stereotaxic Coordinates*. 1997, San Diego, California.
8. Remi C., Genton P. *Epilepsia*, 1991, 32, (suppl. 3), 15-27.
9. Saralidze E., Khutchua L., Ioseliani T. *Proc. Georgian Acad. Sci., Biol.Ser. – A*, 2004, 30, 397-401.

ВЛИЯНИЕ ПИРАЦЕТАМА И ДИАЗЕПАМА НА СУДОРОЖНУЮ АКТИВНОСТЬ КОРКОВОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ

Л. Хучуа, Э. Саралидзе, Т. Иоселиани

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение судорожных разрядов неокортикального происхождения в фазе медленного сна и на фоне предварительной инъекции фармакологических веществ.

Опыты проводились на белых крысах в условиях хронического и острого экспериментов. Животные оперировались под кеталаровым наркозом. В гиппокамп и неокортекс вживлялись биполярные и униполярные константановые электроды. Кратковременным электрическим раздражением дорсального гиппокампа вызывали фокальные эпилептиформные разряды. Животным интраперитонеально вводили пирაცетам (20-25 мг/кг) и диазепам (0,5-1 мг/кг). Электрическую активность головного мозга записывали на электроэнцефалографе. После окончания опытов мозг животного фиксировали в 10% растворе формалина и производили морфологический контроль.

В первой серии хронических опытов было показано, что раздражение неокортекса вызывает более длительные судорожные разряды в период бодрствования, чем в фазе медленного сна. Это указывает на уменьшение эпилептогенного порога неокортекса в период бодрствования.

При предварительной инъекции пирацетама судорожные реакции неокортикального происхождения значительно уменьшились. Аналогичный эффект был получен в случае диазепама, хотя судороги уменьшились не только неокортикального, но гиппокампального происхождения, что указывает на повышение эпилептогенного порога в неокортексе и гиппокампе. Полученные результаты можно объяснить усилением ГАМК-эргического антидромного торможения в неокортексе, в гиппокампе же – усилением тормозящего влияния антидромных коллатералов.

INFLUENCE OF PIRACETAM AND DIAZEPAM ON NEOCORTICALLY-INDUCED SEIZURE ACTIVITY

L. Khuchua, E. Saralidze, T. Ioseliani

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The goal of the study was investigation of the neocortical seizure reactions in the slow wave sleep and after injection of the pharmacological substances.

Experimentes were caried out in the albino rats. Under the ketalar anesthesia bipolar and unipolar electrodes were implanted into the hippocampus and neocortex. Brief electrical stimulations of the dorsal hippocampus induced the focal epileptiform seizure discharges. Piracetam (20.0-25.0 mg/kg) and diazepam (0.5-1.0 mg/kg) were injected intraperitoneally. After the termination of the experiments the animals were sacrificed and the brains were fixed in 10% formalin.

In the first series of experimements it was found that stimulation of neocortex produced longer epileptiform seizure discharges during wakefulness than in the slow wave sleep, suggesting decreased epileptiform threshold of neocortex. After piracetam injection, stimulation of neocortex produced shorter seizure discharges. Same effect was found in a case of diazepam; however, diazepam decreased both neocortical and hippocampal seizure reactions that suggested increase of epileptiform threshold in the neocortex and hippocampus. The results obtained are due presumably to influence of elevated GABA-ergic inhibition and increase of inhibitory influences of antidromic collaterals in the hippocampus.

ინტერნეტია ავტორიათის

ქურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია – A” ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომლებიც მანამდე არსად არ იყო დაბეჭდილი და რომელთა პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგეგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტუალურ მასალას, რომლის თემატიკა, მეთოდოლოგია და განსჯა შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოძველებულ მონაცემებს და დაუსაბუთებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამივე აღნიშნულ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიშანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილის სრული ტექსტის ამსახველ მოკლე, მაგრამ ადეკვატურ ინფორმაციას – კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრივ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვითი ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები ქურნალში იბეჭდება მხოლოდ რედაქციის დაკვეთით ან სარედაქციო კოლეგიის თანხმობით.

ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მკაცრად სტანდარტული რუბრიკაციით – შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მკაცრად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და, ბოლოს, ლათინურანბანოვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკვანძო სიტყვების (key words) სია – არა ნაკლებ ოთხსა და არა უმეტეს ათსა. ლიტერატურის სიაში საჭიროა მოტანილ იყოს ყველა ავტორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (ქურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქციაში უნდა შემოვიდეს 2 ცალად ამობეჭდილი ქაღალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ელექტრონული ვერსია კომპიუტერულ დისკეტზე (3,5“). ტექსტი უნდა აიკრიფოს კომპიუტერზე, 12 ფონტით, 1,5 ინტერვალით. გვერდებზე, ოთხივე მხრიდან დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს AcadNusx და AcadMtavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური – Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები – Excel-ში. თუ სურათები Excel-ში არაა დამზადებული, მკაფიო გრაფიკები და ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სკანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (.jpg, .bmp და სხვ.) დაუშვებელია. ფერადი სურათები ქურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის სახელით უნდა იყოს აღნიშნული. კომპიუტერული დისკეტი უნდა იყოს მანამდე უხმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, ქურნალისთვის უსარგებლო მასალას. დისკეტა ავტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწერილებითი წარწერები უნდა დაიბეჭდოს წერილის ტექსტის ბოლოს, იმავე ფაილში.

ჟურნალში წერილის ბეჭდვა ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის დასაფარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადებითი დასკვნის მიღებისთანავე. წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს (ავტორებს) უნბრუნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკეტი ავტორებს არ უბრუნდება და ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გადაეცემა სარეცენზიოდ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წერილს ხელს უნდა აწერდეს ყველა თანაავტორი. მითითებული უნდა იყოს იმ ავტორთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა (ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლ.გოთუას ქ., № 14, იბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი – ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: alex_koreli@yahoo.com

